გარდატეხა?..

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 8 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) 3:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

“ზენიტი”: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, რუდი, ალამი, სადირინი, ნაუმოვი, ზავიდონოვი, გუსევი, ვარლამოვი (რიაზანოვი), ბურჩალკინი, ვასილიევი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

გამოდგება თუ არა ლენინგრადის “ზენიტი” იმის საზომად, რომ დარწმუნებულად ვილაპარაკოთ თბილისელთა მიერ გუშინ დიდი ანგარიშით მოგებული თამაშის ხარისხზე? ძნელი სათქმელია. “ზენიტი” ჩვენი მეზობელია გათამაშების ცხრილში და მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის თავისი წლევანდელი მაჩვენებლებით. მას ჩავარდნა უფრო მეტი აქვს, ვიდრე წარმატებები, ამიტომ ანგარიში 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ ამ შემთხვევაში არ გამოდგება საიმისო არგუმენტად, რომ კატეგორიულად ვთქვათ ჩვენს გუნდში მომხდარ გარდატეხაზე.

შეცდომები დინამოელთა თამაშში იყო და საკმარისადაც. ურუშაძეც კი, რომელიც სეზონის დაწყებიდანვე ყველაზე სტაბილურ ფორმაში იყო, ნერვიულობდა, ვერ ირჩევდა ადგილს, აყოვნებდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბურთი ორჯერ მოხვდა კარის ძელს, ურუშაძე კი არც ერთხელ არ იყო მზად მის ასაღებად. შეუთანხმებლობა იგრძნობოდა სტოპერების მოქმედებაში, დაცვის მარჯვენა ფლანგზე, უზუსტო გადაცემები ჰქონდათ ნახევარმცველებს, ხოლო თავდასხმაში კვლავ ინდიფერენტულად გამოიყურებოდა ბარქაია.

და მაინც, გუშინდელი მატჩი თბილისელებმა უკეთ ჩაატარეს, ვიდრე ადრინდელები. მოთამაშეებმა მეტი დატვირთვა აიღეს თავიანთ თავზე. შესამჩნევი იყო თავდასხმის აგრესიულობა, რომელიც წლეულს პირველად გამოვიდა მინდორზე ვეტერანთა სრული შემადგენლობით.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობიანად გატარებული 45 წუთი. ორივე კართან საკმაოდ იყო სახიფათო მომენტები, რომლებიც არ იქნა რეალიზებული თავდამსხმელთა მიერ.

ანგარიში გაიხსნა 50-ე წუთზე. გოლის ავტორი გამოდგა დათუნაშვილი, რომელმაც სადირინთან მძიმე ბრძოლაში თავით გაიტანა ბურთი. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გოლის თანაავტორი მესხი. ისევე, როგორც წინა მატჩში მინსკის “დინამოსთან”, მესხმა გუშინაც შესანიშნავად ითამაშა და მოწინავე როლი შეასრულა თავისი გუნდის საერთო გამარჯვებაში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეორე გოლი. ლენინგრადელებს თითქოს სახიფათო არაფერი ელოდათ, ვინაიდან მესხი და იამანიძე ფლანგზე რაღაც მეორეხარისხოვანი კომბინაციით იყვნენ გართული. აქედან ბურთი გადაეცა თავისუფალ ადგილზე კარიდან დიდი დაცილებით წამოსულ ცხოვრებოვს. ვინ იცის, ამ სიტუაციაში რამ უკარნახა მცველს კარში დაერტყა ბურთი. ალბათ, ინტუიციამ. მაგრამ დარტყმა ბრწყინვალე გამოდგა და ვოსტროილოვმა თავისი რთული ფუნქციების მხოლოდ სამწუხარო ნაწილის შესრულება შეძლო: ბადიდან ბურთის გამოტანა.

მესამე გოლი კვლავ მესხი-დათუნაშვილის “დუეტის” შემოქმედება გამოდგა. გარემარბებმა სწრაფად გაითამაშეს ერთმანეთს შორის ერთსვლიანი კომბინაცია და დათუნაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში. ეს თბილისის “დინამოს” პირველი გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში დიდი ანგარიშით.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 9 ივნისი, 1966 წ.